ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ფსიქოლოგიის სფეროში არსებული მიღწევების გაზიარებისა და სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთობლივი განხორციელების შესახებ

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

დანაშაულის
პრევენციის
ცენტრი

ქ.თბილისი - სსიპ შსს აკადემია
10 მარტი, 2016 წ.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, წარმოდგენილი სასწავლო ცენტრის (მთავარი სამმართველო) უფროსის - **ირაკლი ფოჩხუას** სახით, ასევე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის - **ირაკლი ხელაძის** სახით,

სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის - **ავთანდილ მიქანაძის** სახით,

სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის - **ნუგზარ კაკულიას** სახით,

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი უფროსის - **გიორგი არსოშვილის** სახით,

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში აკადემია), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ვიცე-პოლკოვნიკი - **ვასილ კოპეიკინის** სახით,

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის - **გიორგი სიხარულიძის** სახით,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, წარმოდგენილი რექტორის - **ნუკრი გელაშვილის** სახით,

(შემდგომში - მხარეები) მხედველობაში იღებენ მხარეთა დაინტერესებასა და არსებული პოტენციალის თავმოყრისა და გამოყენების შესაძლებლობას ფსიქოლოგიის სფეროში, ისწრაფვიან ამ მიმართულებით ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1

მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია მხარეთა შორის ფსიქოლოგიის სფეროში არსებული მიღწევების გაზიარება და სამომავლო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ერთობლივი განხორციელება. მხარეები ისწრაფვიან ამ მიმართულებებით ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ.

მუხლი 2

მემორანდუმის მიზნის მისაღწევად მხარეები ერთობლივად უზრუნველყოფენ:

- ✓ სამუშაო ჯგუფის შექმნას;
- ✓ ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას;
- ✓ არსებულ, მიმდინარე პროექტებში ჩართვასა და დახმარების გაწევას;
- ✓ მემორანდუმის მიზნის მისაღწევად და ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად დონორების და/ან სახსრების მოძიებას;
- ✓ მემორანდუმის მიზნის მისაღწევად საინფორმაციო და კვლევითი რესურსების ურთიერთგაზიარებას;
- ✓ ერთობლივი სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევების შედეგების ბაზის შექმნასა და განახლებას.

მუხლი 3

მხარეები თანხმდებიან საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და საერთო მიზნის მისაღწევად.

მუხლი 4

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მემორანდუმში ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს მემორანდუმზე ხელმომწერი მხარეების წერილობითი შეთანხმებით.

მხარეს უფლება აქვს უარი თქვას მემორანდუმზე ყოველგვარი მიზეზის გარეშე, დანარჩენი მხარეებისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე, ხოლო კონკრეტული მიზეზით - დანარჩენი მხარეებისათვის 14 (თოთხმეტი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე. ერთი მხარის მიერ მემორანდუმზე უარის თქმა არ იწვევს დანარჩენი მხარეებისთვის მემორანდუმზე უარის თქმას/მემორანდუმის გაუქმებას.

მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა (მათი შესაძლებლობის ფარგლებში) უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

დასკვნითი დებულებები

ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა და თანხმობა, რომელიც მოთხოვნილია ან ნებადართულია გაიცეს ამ მემორანდუმის შესაბამისად, უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმში მითითებულ რეკვიზიტებზე.

მხარეები თანხმდებიან, რომ მემორანდუმის ნებისმიერი სახით დარღვევა მემორანდუმის არსებითი პირობების დარღვევაა.

მხარეს, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნას განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად.

მემორანდუმი შედგენილია რვა თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მემორანდუმის ხელმომწერ მხარეებს.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის
სასწავლო ცენტრის უფროსი

ირაკლი ფოჩხუა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორი

ირაკლი ხელაძე

სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი

ავთანდილ მიქანაძე

სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი

ნუგზარ კაკულია

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი

გიორგი არსოშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ვიცე-პოლკოვნიკი

ვასილ კოპეიკინი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი სიხარულიძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის

ნუკრი გელაშვილი

მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
მის: თბილისი, 9 აპრილის ქ.N2 0108, ყვარლის ქ.N160 0148
ელ-ფოსტა: Contact@ssps.gov.ge; pochkhua-I@ssps.gov.ge
ტელ: 2 92 16 31 (60 02)
სასწავლო ცენტრის (მთავარი სამმართველო) უფროსი - **ირაკლი ფოჩხუა**

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი
მის: თბილისი, სანაპიროს ქ. №2
ელ-ფოსტა: cfcp@prevention.gov.ge
ტელ: (+995 322) 145 145
დირექტორი - **ირაკლი ხელაძე**

სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
მის.: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილის მე-17 კილომეტრი
ელ-ფოსტა: info@pptc.ge
ტელ: 790 945 970
დირექტორი - **ავთანდილ მიქანაძე**

სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 3ა საფოსტო ინდექსი 0186;
ელ-ფოსტა: trainingcenter@tcj.gov.ge
ტელ: (995 32) 238 22 59
დირექტორი - **ნუგზარ კაკულია**

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
მის: თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი N42 0186
ელ-ფოსტა: garsoshvili@probation.gov.ge
ტელ: 2 30 30 12
სააგენტოს უფროსი - **გიორგი არსოშვილი**

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
მის: ქ. გორი 1400, ცხინვალის გზატკეცილი მე-5 კილომეტრი
ელ-ფოსტა: nda@mod.gov.ge;
ტელ: +995 322 305285
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი , ვიცე-პოლკოვნიკი - **ვასილ კოპეიკინი**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
მის: თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. N20
ელ-ფოსტა: Gsikharulidze@gmail.com
ფაქსი: 234 45 14
ტელ: 234 45 15
შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი - **გიორგი სიხარულიძე**

სსიპ - საქართველოს შსს აკადემია
მის: თბილისი, გმირი კურსანტების ქ. N4 0178
ელ-ფოსტა: nogelashvili@gmail.com; policeacademy@mia.gov.ge
ტელ.: 2 41 40 41
ფაქსი: (032)258 10 03
რექტორი - **ნუკრი გელაშვილი**